# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 121 ხუთშაბათი, 4 ივნისი 1909 წ. № 121

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სამის 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში - ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან დღისით 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭВА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ.,ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.



## მუშტაიდში

◀ კვირას, 7 ივნისს ▶

ტფ. სახალხო უნივერსიტეტის

სასარგებლოდ გაიმართება

## დიდებული სეირნობა:

დილით—ბავშვებისთვის,

საღამოთი—დიდებისთვის.




პროგრამა:

**საქანაო**—ოპერეტა „მხიარული ქვრივი"-დან.

**სეირნობა**—მატორიან „კალიასკებით".

**ორკესტრები**—მანდოლინისტებისა, ბალალაიკის დამკვრელთა, სამხედრო, ხოლო საღამოს 8 საათიდან—სიმებიანი ორკესტრი რუმინელებისა, გრამოფონი.

**ბავშვების პროცესია დროშებით.**

✦ **სირბილი ტომრებით** ✦

**ბავშვების ცეკვა**

◀ **მიზანში სროლა** ▶

■ **რგოლების სროლა** ■

● **შუშხუნები** ●

● **თვალი** ●

**სინემატოგრაფი** სასურათესო სურათებით ბავშვებისა და დიდებისათვის ცალ-ცალკე. ✦ **ღია ბარათები ლექსებით.**

**ბოშა ქალი—მკითხავი. აფთიაქი—კიოსკი. ბელის ბოჭვა. პტი-შვო. კონფეტებით ბრძოლა.**

დასაწყისი დილით 10 საათზე, საღამოთი 4 საათზე.

შესავალი ფასი: დიდებისთვის—20 კაპ., ბავშვებისთვის—10 კაპ.



## ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ 8 ივნისს ამა წლისა დღის 12 საათზედ ქ. ქუთაისში საბჭოს სადგომში მოხდება ვაჭრობა პატარა ჭიქაურში **მდინარე ყვირილაზედ ქვის ბურჯიან ხის ხიდის იჯარით გაკეთების შესახებ.** ხიდის სიგრძე იქნება 27,00 საჟ., ხოლო სიგანე 2,70 საჟ. ფასი დანიშნულია 8706 მან. და 90 კ. ბედ. უნდა წარმოდგენილ იქმნას საიჯარო ფასის 5% ვაჭრობის დაწყების წინ.

დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება საბჭოს კანცელიარიაში ქ. ქუთაისში და აგრეთვე საბჭოს სატეხნიკო განყოფილების ბიუროში ჭიათურაში.

ვაჭრობა უნდა დამტკიცებულ იქმნეს საბჭოს მიერ. (3—6.—3)



## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

ხუთშაბათს, 4 ივნისს, 1909 წ. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## სულელი

პიესა 4 მოქმ. ფულდისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებულ სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი ზუსტად საღამოს 8½ საათზედ.**

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათს საღამოს, 13 ივნისს. მზადდება წარმოსადგენად **„ქორწილის ტრფობა"**.

ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებითა** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად ხსვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულებით აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**



**იბეჭდება და მალე დაურიგდება ხელის მომწერლებს**

## დუტუ მეგრელის ნაწერების

## პირველი წიგნი—ლექსები,

რომელშიაც მოთავსებული იქნება 200-ზე მეტი ლექსი და სამი პოემა.

ხელის მოწერა, როგორც ამ წიგნზე, ისე დუტუ მეგრელის მოთხრობებზე კვლავ მიიღება ამ ივნისის 25-მდის; შემდეგ ხელის მოწერა აღარ მიიღება. ხელის მოწერით ორივე წიგნი ეღირება ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი შესამჩნევად იქნება გადიდებული.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: წ. კ. გ. საზოგადოების მაღაზიაში, მაღაზია „ახალ სიტყვაში" („Новая рѣчь"), „დროების" რედაქციაში და ქუთაისში ბ-ნთ თომა მთავრიშვილის და ის. კვიცარიძის წიგნის მაღაზიებში. პროვინციიდან ხელის მომწერთა სია და ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების" რედაქციაში, საიდანაც მსურველთ შეუძლიათ დაიბარონ აგრეთვე ხელმოსაწერი საკვიტანციო წიგნაკები. (6—4)



**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—160)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 78)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსეს ქუჩა, N 11. (75—93)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი მ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ა. ნ. რიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში აქიმებს ყოველ ნაირ ჭლექით ავადმყოფებს ხორცსა და კან შეა შესასხამ წამლით **ტუბერკულინით.** ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (12—6.—11)



## დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—6)



## სოფ. ქვიშხეთში

ქირავდება

## აგარაკი ჩიტაძისა

აგარაკი ახალია და შეიცავს ხუთ მშვენიერ ოთახს, საღ ადგილზეა. აგარაკი ქირავდება ძალიან იაფად. მსურველმა უნდა მიმართოს ვ. სურგულაძეს, ქართულ გიმნაზიაში, ვერაზე. (5—5)



ახლად გახსნილი

ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

**ე. ზ. ფოლდოროვა**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

**ბ. ა. პლაპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

**გ. მ. მაკარიძე**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

**ა. ნ. რიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ა. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**მ. ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

**ა. გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

**ნ. გ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—75)


ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ მან უკვე დაიწყო მოქმედება და სთხოვს ქართველ ხალხში განათლების გავრცელების თანამგრძნობელთ ჩაეწერნენ განყოფილების წევრებად ან გაუწიონ მას ნივთიერი დახმარება და ამით მისცენ საშუალება პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება.

საწევრო ფული და შემოწირულება მიიღება ქუთაისში: ქართულ გიმნაზიაში—იოსებ ოცხელთან, ქალაქის გამგეობაში—იაკობ ფანცხავასთან, შავი ქვის მრეწველთა საბჭოში—გიორგი ზდანოვიჩთან და განყოფილების ხაზინადართან—ბართლომე მოსეშვილთან. (10—6.—1)


„ტფილისის სობრანიე"

დღეს, 4 ივნისს, ახალ საზაფხულო სადგომში.

## საოჯახო საღამო

სახანდარი: ხოლო ცნობილ მეჭიანურის სევი'სა, მეთარე კრიკორ ბალაევი, მომღერალი მამადი.

სტუმრები საზოგადო წესით. წევრებს სთხოვენ, შესვლის დროს კონტრამარკები წარადგინონ ხოლმე. (1—282—1)



## შპალიერი

ძმ.

## ტარნოპოლების

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრის საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (25—6 11)


## ჭიათურა

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრად ჩაწერა და საწევრო გადასახადის სამი მანეთის წარდგენა შეიძლება განყოფილების გამგეობის წევრ-ხაზინადარ ირაკლი დეკანოზიშვილთან. (10—9)


## ბაღი-რესტორანი

## ამხ—ბის „იუჟანე"-სი

სასახლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა საზაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. დაუკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ-სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია. (10—გაჟ.—8)



## იყიდება სახლი

**ქ. ქუთაისში,** მესხეთის ქუჩაზე № 7, ახალ სათავად-აზნაურო გიმნაზიის უკან. სახლი ღირს 25.000 მანეთად. იყიდება 15.000 მანეთად. პირობების შეტყობა წერილობით: ტფილისი, გუნიბის ქ., № 38, ბარბარე მანსურაძეს. (1—281—1)



7 ივნისს, საღამოს 7 საათზე,

◀ დაიხურება ▶

## მოსკოველ მხატვართა

## სურათების გამოფენა

(გოლოვინის პროს. და მამა დავითის ქუჩების კუთხე).

გამოფენის დათვალიერება ღირს დიდებისთვის 25 კაპ., ბავშვებისთვის, მოწაფეებისთვის და სალდათებისთვის—10 კაპ. (3—1)



**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბეჩიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—67)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

შეკითხვამ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" უკანონო მოქმედებათა შესახებ შავ-რაზმელ პრესაში დიდი ალიაქოთი გამოიწვია. სახელმწიფო სათათბიროში—დეპუტატები და სათათბიროს გარეთ—შავ-რაზმელთ მწერლები სცდილობენ დაამტკიცონ, რომ ოპოზიციამ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" უკანონო მოქმედების შესახებ ვერავითარი საბუთები ვერ წამოაყენა. მაშინ ოპოზიციის ორატორებმა სამართლიანად შენიშნეს, ჩვენი შეკითხვა მთავრობისაკენ არის მიმართული და არა შავ-რაზმელებისაკენაო. მართლაც, სათათბიროს წევრები ბრალმდებელთა როლს ვერ ითამაშებდნენ. სათათბიროს წევრების მოვალეობაა ნათელი მოჰფინონ იმ საქმეს, რომელიც შავ-რაზმელთა ცენტრალურ გამგეობის ფარშემო დაიწყო. ფინლიანდიის სასამართლომ უკვე ბევრი მასალა გამოამჟღავნა. მთავრობა ვალდებულია ამ საქმის შესახებ სახალხო წარმომადგენლებს გარკვეული ანგარიში წარუდგინოს. შავ-რაზმელები სიხარულს ეძლევიან, მაგრამ გასახარელი ბევრი არაფერი აქვთ. სათათბირომ შეკითხვა მიიღო. აღსანიშნავია, რომ კამათის დროს მთავრობის წარმომადგენლები ვერ დაესწრნენ. ამის შესახებ „რეჩი" სწერს:

ამბობდნენ შეკითხვის მიღების შესახებ მთავრობის წარმომადგენელი ილაპარაკებსო. მაგრამ მთავრობა სხდომას არ დასწრებია. მართალია, თანახმად კანონისა, მთავრობა პასუხს მხოლოდ შეკითხვის მიღების შემდეგ აძლევს ხოლმე, მაგრამ პრაქტიკამ ჩვენში სხვანაირი წესიც დაამკვიდრა. ძალიან ხშირად მთავრობა განმარტებას იძლეოდა ხოლმე და ამტკიცებდა, მიზეზებია ესა თუ ის შეკითხვა. თუ ამ შემთხვევაში მთავრობა ასე არ მოიქცა, ალბათ არც საბუთები ჰქონდა".

შესაძლებელია, მთავრობა სრულიად სხვა მოსაზრებითაც დაჩუმდა. პასუხის გაცემა მთავრობას ამ სესიაში აღარ დასჭირდება და იქნება იფიქრა, მთელ ზაფხულის განმავლობაში ამ საკითხსაც სიმწვავე დაეკარგებაო. მაშინ მისი გადაფუჩეჩება და ცარიელი სიტყვებით ლელოს გატანა არც ისე ძნელი იქნება.

* *

კიდევ დიდი ალიაქოთი გამოიწვია შავ-რაზმულ პრესაში სათათბიროს მიერ მიღებულმა კანონ-პროექტმა ერთი სარწმუნოებიდან მეორე სარწმუნოებაში თავისუფლად გადასვლის შესახებ. შეშინებული „რუსკოე ზნამია", შავ-რაზმელების გაზეთი, მიმართავს კავშირის წევრებს და სთხოვს იშუამდგომლონ სინოდის წინაშე, რომ

განიდევნონ ის მართლმადიდებელნი ქრისტიანენი, რომელთაც ანტიქრისტიანული პროექტი სარწმუნოებრივ საკითხთა კომისიის დაადასტურეს.

შავ-რაზმული პრესსა ვერას გზით ვერ ეგუება იმ აზრს, რომ შეიძლება ადამიანი სინიდისის თავისუფლების მომხრე იყოს, მაგრამ ამასთანავე მართლმადიდებლადაც დარჩეს. როგორც ეტყობა, შავ-რაზმელებს, ამ მყვირალა მართლ-მადიდებლებს, ძალიან ნაკლები იმედები ჰქონიათ რუსულ მართლ-მადიდებლობის შინაგან ძლიერებისა, თორემ სახელმწიფო ავტორიტეტის ჩარევა სინიდისის საქმეში და იძულებითი განმტკიცება მართლ-მადიდებლობისა რა საჭირო იქნებოდა?

* *

რუსული ნაციონალისტური პრესსა ძალიან ბევრსა ლაპარაკობს რუსეთის კულტურ ცხოვრებაზე. ჩვენს მკითხველს უექველია ახსოვს წერილები „გოლოს კავკაზისა". ყურები გამოგვიჭედეს, რუსეთი რომ არა ყოფილიყო, კავკასია აქამდის ველურ ქვეყანად დარჩებოდაო. „უტრო"-ს თანამშრომელს მოჰყავს სიტყვები კავკასიის მკვლევარის ვასიუკოვისა, რომელსაც რუსეთის კულტურონობაზე შემდეგი აზრი გამოუთქვამს:

ის ადგილი, სადაც წინად ჩერქეზები მოსახლეობდნენ, ე. ი. ჩერნომორის გუბერნია, სანამ რუსეთი დაიპყრობდა ამ ადგილებს, მოფენილი იყო მშვენიერის ბაღებითა, გაყვანილი იყო გზები; ჩერქეზები ბევრს საქონელსაც აშენებდნენ; მთიელებს ყოველთვის ჰქონდათ ჯიშის საქონელი ჰყავდათ ხოლმე. ამ ქამათ კი აღარც ბაღებია, აღარც საქონელი; გზები გაფუჭებულია, იქ დასახლებული რუსები ცხვარს ხომ სრულიად აღარ აშენებენ.

ესეც ნაქები კულტურა რუსეთისა.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**სათათბიროს დათხოვნა.**

2 ივნისს დასრულდა მეორე სესსია სახელმწიფო სათათბიროსი. ამ დღეს ორიოდე სულ უმნიშვნელო კანონ-პროექტი განიხილეს. შემდეგ მატიუნინმა წაიკითხა სათათბიროს 76 კანონპროექტის რედაქცია, შემუშავებული სარედაქციო კომისიის მიერ. ეს კანონპროექტები სათათბიროს მიერ მიღებული, სახელმწიფო საბჭოს გადაეცა. ამ რიგადაო, სთქვა მატიუნინმა, სარედაქციო კომისიას არ შეუმუშავებია მხოლოდ სამის კანონპროექტის რედაქცია, რადგან ეს კანონპროექტები გუშინ მიიღო მხოლოდ სათათბირომაო. სათათბირომ ხანგრძლივის ტაშისცემით დააჯილდოვა მატიუნინი. ისევე დააჯილდოვა ტაშით მაკლაკოვი, რომელმაც წაიკითხა საბოლოო რედაქცია სათათბიროს მიერ მიღებულ „ნაკაზისა".

ბოლოს თავმჯდომარემ სთხოვა სათათბიროს, მოისმინოს ხელმწიფის სიტყვა; მისივე წინადადებით ყველანი ფეხზე წამოდგნენ და თავმჯდომარემ წაიკითხა:

„სახელმწიფოს ძირითად კანონების მე-99 მუხლის ძალით ვბრძანებთ: ორ ამა ივნისს შესწყდეს სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა და განახლდეს 10 ოქტომბერს 1909 წელს. უმართებულესი სენატი ამის გამო შესაფერ განკარგულებას მოახდენს".

წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ თავ. ვოლკონსკიმ სთქვა: „ბატონებო, მის იმპერატორებით უდიდებულესობას, ურა!" და გაისმა „ურას" ძახილი. მერე თავმჯდომარემ განაცხადა: შემდეგი სხდომა სათათბიროსი 10 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე.

სხდომის გათავების შემდეგ ეკატერინეს დარბაზში გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი, სამჯერ იმღერეს ჰიმნი, რამდენჯერმე კიდევ დაიძახეს „ურა" და დაიშალნენ...

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ივნისი

### ოსმალეთი

**ვენა.** „კორესპ.-ბიურო"-ს სალონიკიდანატყობინებენ: ურჩ ალბანელთა და ოსმალეთის ჯარს შორის შიშმთან სამი შეტაკება მოხდა. მოკლულნი და დაჭრილნი არიან ორივე მხრიდან. ჯევად-ფაშამ მაშველი ჯარი დაიბარა. იგი დაემუქრა ალბანელებს—საალყო წესებს შემოვიღებო.

**სტამბოლი.** 1 ივნისს დეპუტატთა პალატამ განიხილა კანონ-პროექტი მინისტრების იმხანაგთა შესახებ. ხელების აწევერით კანონ-პროექტი მიიღეს. მაგრამ შემდეგ ზოგიერთა ჯგუფებმა მოითხოვეს ხელ-ახალი კენჭის-ყრა, ამასთან ყველას გვარის დასახელებით. ასეთის კენჭის ყრით კანონ-პროექტი ვერ გავიდა. საჭირო იყო დამსწრეთა ორი-მესამედი, ხოლო აღმოჩნდა: მომხრე 103 დეპუტატი, მოწინააღმდეგე—74. ბოლოს გამოირკვა, რომ პალატაში დეპუტატთა კანონიერი რიცხვი არ იყო, ამიტომ კენჭის ყრა კანონიერად არ იცნეს. საკითხი გადასდეს. დეპუტატები ძალიან აღელვებულნი იყვნენ. სხდომა დაიხურა.

**სალონიკი.** სტამბოლიდან მოვიდა სამხედრო კომისია. იგი შეუდგა სიმაგრეების შეკეთებას კარაბურუნის კონცხზე, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. სალონიკის ყურეში, ზღვაში ნაღმებს აწყობენ. ამ საქმეზე 2000 სალდათი მუშაობს. აფიცრებს აეკრძალათ შესასვენებლად ან სხვა რამ საქმისათვის სამსახურს თავი გაანებონ. ყველა ეს გამოიწვია კუნძულ კრიტოსის საქმემ.

ელასსის ოლქში ოსმალეთის ჯარი შეეჩეხა ბერძენთა მებრძოლ რაზმს. რაზმი 15 კაცისაგან შესდგებოდა და უფროსობდა ალექსი. ალექსი და რვა რაზმელი მოჰკლეს, ორი დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს.

## საზღვარ-გარედ.

**ვენა.** დეპუტატმა კალინამ პალატაში წინადადება შეიტანა—დაევალოს მთავრობას წარუდგინოს პალატას პროექტი ბოსნიისა და ჰერცოგოვინის კონსტიტუციისა. პალატამ სასწრაფოდ არ იცნო ეს წინადადება. მინისტრ-პრეზიდენტმა ბინერტმა განაცხადა, რომ ბოსნიაში კონსტიტუციის შემოღება პარლამენტის კომპეტენციას არ შეადგენს, ეს საქმე ხელმწიფის პრივილეგიაო.

**დანციგი** (გერმანია). გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ მეორეს ესკადრა სალამოთი ზღვაში გავიდა და რუსეთისკენ გაემართა.

**ბერლინი.** განახლდა პარლამენტის სხდომები. განიხილეს თავისუფალ მოაზრეთა პარტიის შეკითხვა მეკლენბურგში კონსტიტუციის შემოღების შესახებ.—სოციალ-დემოკრატებმა წინადადება შეიტანეს, სანოვაგის გაძვირების გამო დროებით გაუქმდეს ბაჟი შემოტანილ პურზე.

უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, სამართალში მისცეს გარეშე საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ განყოფილების მრჩევლად ნამყოფი გამმანი. მას ჰბრალდება ცრუ ფიცი. გამმანმა ამაზე თითონ დაბეჭდა წერილი „ნორდ-დ.-ალ.-ცეიტუნგ“-ში. იგი ამბობს: მსურს ჩქარა გაირჩეს საქმე, რომ თავი დავახწიო სახელის გამტეხ მდგომარეობასაო.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** ვაჭრობის მინისტრის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი უმაღლეს საკომერციო სასწავლებლის დაარსების დებულების შესამუშავებლად. თათბირში მონაწილეობას იღებენ ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელნი.

**პეტერბურგი.** ამ ბოლო დროს გაზეთებში იბეჭდებოდა, ვითომ საერო განათლების სამინისტროს განზრახვა ჰქონდეს ახალი საუნივერსიტეტო წესდება ძირითად კანონთა მე-87 მუხლის ძალით გაიყვანოსო. „მთავრობის ცნობათა ბიუროს“ დავალებული აქვს გამოაცხადოს, რომ ეს ამბავი მოკლებულია ყოველსავე საფუძველს. უნივერსიტეტის წესდების პროექტს საკანონმდებლო დაწესებულებები განიხილავენ.

**პეტერბურგი.** რადგან ჩაძირულ ნაღმოსან გემის შესახებ (№ 273) სხვა და სხვა ხმა გავრცელდა, საზღვაო სამინისტროს კანცელარია აცხადებს: „შავი ზღვის ფლოტის უფროსის დეპეშის თანახმად, საქმე ასე მომხდარა: 29 მაისს როდესაც ლიკულის კონცხთან შინჯავდნენ ნაღმოსნის მექანიზმს, გასკდა მილი, რომლითაც ნავთი ეძლეოდა გასაღვივებელ ნაწილს. უეცრად ცეცხლი გაუჩნდა ნავთს და მსახურნი იძულებულნი შეიქმნენ შეეჩერებინათ მექანიზმის გამოცდა“.

დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 15 კაცი, გარდაიცვალა 4.

**ოდესსა.** ელისაბედის ქუჩაზე, ერთ სახლის სარდაფში აღმოაჩინეს ასაფეთქებელი ნივთიერება.

**სლავიანსკი.** სოფელ ტამპელაში გასცარცვეს სახაზინო არყის დუქანი. წაიღეს 3000 მანეთამდის. მოჰკლეს დახლიდარ ქალის ქმარი. მცარცველნი მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** გარდაიცვალა პეტერბურგის უნივერსიტეტის ძველ ისტორიის კათედრის დამსახურებული პროფესორი თევდორე სოკოლოვი.

**სევასტოპოლი.** წვიმიან ამინდის გამო ჩაძირულ გემის ზღვიდან ამოსაღებად მუშაობა ჯერ არ დაწყებულა.

**სევასტოპოლი.** დაარსდა კომიტეტი, რომლის მიზანიც არის დაეხმაროს წყალქვეშ მავალ გემ „კამბალა“-ზე დაღუპულ მეზღვაურთა ოჯახებს.

## ჟურნალისტის დღიური

### 1.

### ქართველი სტუდენტები.

ბევრს უცნაურობას შეჰხვდება ადამიანი ქართულს ცხოვრებაში. ბევრი უკუღმართობა ახასიათებს ჩვენი საზოგადოების სხვა და სხვა ჯგუფს. დღე ისე არ გაივლის, რომ გაზეთმა ესა თუ ის უკუღმართობა არ აღნიშნოს. ვინც ზეზეურად დასცქერის საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებას, ამ უკუღმართობის მიზეზებს მახლობელ წარსულში ეძებს, დარწმუნებულია, რომ იგი დროებით, გარდამავალ პირობებმა წარმოშობეს. მაგრამ ესეთი აზრი შემცდარია. თითქმის ყოველგვარ უკუღმართობას ღრმა მიზეზები აქვს და ამიტომ ვისაც კი გულ-წრფელად სურს ჩვენის დაავადებულ ცხოვრების გამობრუნება, ეს ღრმა მიზეზები უნდა აღმოაჩინოს.

ამ ჟამად მინდა ცოტა რამ ქართველ სტუდენტებზე ვთქვა.

ჩვენს გაზეთს არა ერთხელ აღუნიშნავს ეგრედ წოდებულ „თავად-აზნაურულ პოლიტიკის“ არა სასურველი გავლენა. რაში მდგომარეობს ეს პოლიტიკა? გარეგნულად თავად-აზნაურობა თითქმის დიდ კულტურულ მუშაობას. ეწევა. ვერც ერთ ისეთს კულტურულ დაწესებულებას ვერ დაასახელებთ, რომელშიაც ქართველ თავად-აზნაურობას თავისი წვლილი არ შეჰქონდეს. ბევრი კულტურული დაწესებულება კი განსაკუთრებით თავად-აზნაურულ ფულითა საზრდოობს. ქართულ თეატრს თავად-აზნაურობა ეხმარება, ქართულ გიმნაზიას, აქამდის მაინც, სავსებით თავად-აზნაურობა ინახავდა, ეხლა კი ფრიად დიდს საქმეს მოჰკიდა ხელი,—სურს მიწის მობილიზაციის საქმე ქართველებისთვის სასარგებლო ნიადაგზე დააყენოს. ერთის სიტყვით, გარეგნულად თავად-აზნაურობა დიდს ეროვნულს საქმეს აკეთებს. მაგრამ ერთი დამახასიათებელი თვისება ჩვენის თავად-აზნაურობისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ინტელიგენციის ერთი ნაწილისა აქარწყლებს მთელ ამ მოქმედებას. ეს თვისება გარკვეულ მიზნების უქონლობაა. ქართველი თავად-აზნაურობა ეროვნულ საქმეს ემსახურება და ამასთან ლოღიკურ დასკვნამდე ვერ მიჰყავს ეს სამსახური. იგი ერთის თვალით სხვაგან იყურება, ნებით თუ უნებლიეთ მხნე მონაწილეობას იღებს იმ პოლიტიკაში, რომელსაც ჩვენში აწარმოებენ, მეორეს მხრით კი სამშობლოს პატრიოტულ ჰიმნებს უგალობს. თავად-აზნაურობა და მასთან ერთად ინტელიგენციის ნაწილი ორ ღმერთს ემსახურება. ორის ღმერთის მსახურება კი ადამიანს ვერ აცხონებს. ჩვენში გაბატონებული პოლიტიკა იმდენად გამორკვეულია, იმდენად აგრესიულია, რომ, ვინც მას ხელს უწყობს, უეჭველია ქართულ ეროვნულ აღორძინების საქმეს ხელს უშლის. ქართველი ინტელიგენცია კი ტიტანიურ მუშაობას ეწევა შეუთანხმელ მდგომარეობათა შესათანხმებლად. პოლიტიკა ქართველების წინააღმდეგ არის მიმართული. თავის დაცვის ინსტინქტი მოითხოვს, რომ ქართველების პოლიტიკა ეხლანდელ გაბატონებულ პოლიტიკის წინააღმდეგ იყოს მიმართული. კომპრომისები ამ შემთხვევაში ყოვლად შეუძლებელია. თავად-აზნაურობას კი სრულიად არ გააჩნია ის ზნეობრივი ძალა, რომელიც მტკიცედ აღიმართება გამანადგურებელ პოლიტიკის წინააღმდეგ.

აღორძინების საქმეს ჩვენ არც მოველით თავად-აზნაურობისაგან. იგი ვერასოდეს ვერ დააღწევს თავს იმ წინააღმდეგობას, რომელსაც ღრმად აქვს გამჯდარი ფესვები იმის სულიერ აგებულებაში. და თუ დღეს შევეხე ამას, მხოლოდ იმ აზრით, რომ ამ წინააღმდეგობის შედეგები მკითხველისთვის უფრო ნათელი გახდეს.

ორის ღმერთის მსახურებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. დაიბადნენ ისეთი ჯურის ადამიანები, რომელშიაც „პოლიციელობა“ და „კარგი ქართველობა“ მშვენივრად თავსდება. ასეთი შეთანხმება შეუთანხმებელ მომენტებისა ჩვენს დროში ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული. ჩვენს გაზეთში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, სამშობლო ნიადაგს მოშორებული მოსწავლე ახალგაზრდობა ქართულ კულტურისთვის გამოუსადეგარი ხდებაო. ეს მოვლენაც აღნიშნულ შინაგან წინააღმდეგობის ბრალია. ყველა ეს მოვლენა ერთსა და იმავე ღრმა მიზეზის შედეგია.

ჩვენში ორის ღმერთის მსახურებამ არსებით და შეუერთებელი შეაერთა. ამან კი სრული ზნეობრივი გახრწნილობა და უპრინციპობა გამოიწვია. არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, რომ ამ უპრინციპობამ უდიდესი ნაწილი ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისა სრულიად უსარგებლო ელემენტად გადააქცია. ეს უპრინციპობა განსაკუთრებით ქართველ სტუდენტებს ემჩნევათ. თუმცა როგორც ყველგან, სტუდენტებშიაც მოიძებნება გამონაკლისი; მაგრამ უმრავლესობა სტუდენტებისა ამ უპრინციპობის მორევშია ჩაძირული.

შეიძლება მკითხველმა არც კი იცის, რომ ქართველი სტუდენტები რუსეთში „ჭეშმარიტ რუსთა კავშირში“ იწერებიან და ამ არა რუსთა დაუძინებელ მტრებთან ერთად სამარცხვინო მოღვაწეობას ეწევიან. ასე იყო, მაგალითად, ოდესაში. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ერთი-ორი გზა კვალ აბნეული სტუდენტი თუ შავრაზმელთა კავშირში ჩაეწერება, უბედურებას როგორმე გაუძლებდა ადამიანი. სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ კარგა ბლომა ნაწილი ოდესის სტუდენტობისა, როგორც გვატყობინებენ, სრულიად გულგრილად უცქერის ამ მოვლენას. რა უყოთ, რომ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირში“ ჩაეწერნენ, ალბად პირადი საქმეები ჰქონდათ გამოსასწორებელი, გულით იყოს ქართველი, თორემ „შავრაზმელობას“ რა უშავსო! აი, ამნაირად მსჯელობს, თურმე, ოდესის სტუდენტობის ნაწილი. არიან ისეთი ვაჟბატონებიც, რომელნიც სამარცხვინო თხოვნებით მიმართავენ სხვა და სხვა დაწესებულებებს, უმტკიცებენ, ვისაც ჯერ არს, რომ ისინი სულითა და გულით რუსები არიან, მხოლოდ ბედის მწარე ირონიით ქართველად დაბადებულან. ყველა ამას ის ვაჟბატონები მხოლოდ იმიტომა სჩადიან, რომ როგორმე „თბილი“ ადგილი მიიღონ. ისე რომ დაელაპარაკოთ, იმათთანა კარგი ქართველები ქვეყანაზე არ მოიპოვებიან.

ვიმეორებ, ამისთანა ვაჟბატონები სახსენებიც კი არ იქნებოდნენ, სტუდენტების დიდი ნაწილი რომ სრულიად გულგრილად არ ეკიდებოდეს ასეთ მოვლენას. მათს აზროვნებაში თანდათან მაგრა იკიდებს ფესვებს წარმოდგენა, რომ ასეთს უპრინციპობას ცხოვრების ულმობელი კანონი მოითხოვს, რომ იმის კლანჭებს ვერსად წაუვა ადამიანი, აი, აქ უნდა ვეძებოთ უკუღმართობა

შავ-რაზმელობა და სხვა ამნაირი რამ უკანასკნელი ლოღიკური დასკვნაა იმ ზნეობრივ გახრწნილობისა, რომელიც ახასიათებს ჩვენის საზოგადოების ზემოდ დასახელებულ წრეებს. იქ, სადაც მთელ საზოგადოებრივ ჯგუფების სამოქმედო პრინციპად ორი ღმერთის მსახურებაა აღიარებული, უკეთესს არაფერს არ უნდა მოველოდეთ. წლობით ვითარდებოდა ჩვენს საზოგადოებაში მონის დამახინჯებული ფსიხიკა. მან ვერ შესძლო გარკვეულ პოზიციის დაჭერა. გამუდმებულმა ქანაობამ და უპრინციპობამ სტუდენტებას ფსიხიკაც მოწამლა. ამიტომაა, რომ ზოგიერთ ქართველ სტუდენტის აზროვნებაში „შავ-რაზმელობა“ და „კარგი ქართველობა“ ასე მშვენივრად მოთავსებულა. ოდესის სტუდენტებს ერთ ქართველ შავრაზმელისთვის ბოიკოტი გამოუცხადებია. სტუდენტები სხვანაირად ვერც მოიქცეოდნენ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებულ ზომების მიღებაა საჭირო, მაგრამ სენის ძირიანად ამოსაგდებად ასეთი ბოიკოტები კერძო პირებისა სრულიად არა კმარა. საჭიროა მოისპოს ის ფსიხიური ატმოსფერა, რომელიც ზრდის და ასაზრდოებს ამისთანა პირებს. საჭიროა სტუდენტობამ ერთხელ და სამუდამოდ უარჰყოს ძველი გზა და შეიგნოს, რომ ორი ღმერთის მსახურებას ყოველთვის ასეთი შედეგები მოსდევს...

**შინაური.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **თავად-აზნაურთა კრება.** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ გუშინ, 3 ივნისს დილით განაახლა სხდომა. მთელი დღე კრებამ მოანდომა თავად-აზნაურთა მამულების მართვა-გამგეობის საკითხს. წინად არსებობდა კოლეგიალური მართვა-გამგეობა, მაგრამ დეპუტატთა და მარშლების შეერთებულმა სხდომამ შესცვალა ასეთი წესი და მამულების გამგედ დაყენა ერთი კაცი თავ. ვ. ვაჩნაძე, ხოლო კონტროლის გასაწევად დასტოვა განსაკუთრებული კომისია. ამ კომისიის წევრებმა ჯერ კიდევ შარშანვე მიანებეს თანამდებობას თავი. 2 ივნისის კრებას თავმჯდომარემ წარუდგინა პროექტი მამულების მართვა-გამგეობის წესისა. თავ. ვაჩნაძე დროებით იყო მამულების გამგედ დანიშნული. ამ მოხსენებაში დეპუტატთა და მარშალთა კრებულს საჭიროდ უცვნია არსებულ წესის დატოვება. მამულების გამგე უნდა დარჩეს ერთი კაცი. იმის გარდა უნდა მოიწვიონ სპეციალისტი ტეხნიკოსი, რომელსაც ჩაებარება ელექტრონის სადგური და თეატრი. კრების უმრავლესობა თანახმა იყო ამისა. მაგრამ ზოგიერთმა იკითხა, რად გადააყენეთ კომისია იმ დრომდე, ვიდრე თავად აზნაურობის კრება ამ საკითხს არსებითად არ განიხილავდაო. ამ საკითხმა ცხარე კამათი გამოიწვია. ბოლოს კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო დეპუტატებისა და მარშლების წინადადება. შემდეგი სხდომა დღეს, 4 ივნისს, 12 საათზე მოხდება.

✦ **იარაღი კავკასიისთვის.** პეტერბურგში გაუჩხრეკიათ ანტონოვისა და ტიმოფეევის იარაღის სახელოსნოები. ფიქრობენ, რომ ამ სახელოსნოებიდან იარაღსა ჰგზავნიდნენ კავკასიასა და სპარსეთში.

✦ **თეატრის შემოწმება.** როგორც მკითხველებმა იციან, თეატრის შესაკეთებლად თავად-აზნაურობამ 340,000 მანეთი დახარჯა. თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ ამ ორი თვის წინად განსაკუთრებული სატეხნიკო კომისია აირჩია და დაავალა ყველაფრის შემოწმება. თეატრის შემკეთებელმა ტეხნიკოსმა ტერ-სარქისოვმა მხოლოდ ამ დღეებში წარუდგინა ამ კომისიას ანგარიში და კომისიაც შეუდგა შემოწმებას.

✦ **სახალხო თეატრი.** დღეს, საღამოს $8^{1}/_{2}$ საათისთვის, ზუბალაშვილების სახლში ქართულ სექციის მიერ დანიშნულია იაფ-ფასიანი წარმოდგენა. წარმოადგენენ ცნობილ ფულდის ახალ პიესას: „სულელს“. ეს პიესა ქართულად მხოლოდ ერთხელ იქმნა წარმოდგენილი ვ. გუნიას საბენეფისოდ.

✦ **მარიამ ძნელაძის გარდაცვალების გამო** პეტერბურგიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „გულით ვწუხვართ ნიჭიერ მომღერლის მარიამ ძნელაძის გარდაცვალების გამო. ბალანჩივაძე, ფოცხვერაშვილი“.

✦ **სეირნობა.** კვირას, 7 ივნისს, მუშტაიდის ბაღში გაიმართება დიდი სეირნობა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ. როგორც გავიგეთ, სეირნობა ძალიან საინტერესო და ორიგინალური იქნება.

✦ **თათრული წარმოდგენები.** ტფილისში თავის დასით ჩამოვიდა ცნობილი არტისტი გ. მ. არაბლინსკი. მას აზრადა აქვს გამართოს თათრულად რამდენიმე წარმოდგენა. არაბლინსკი თავის დასით მოივლის კავკასიის სხვა და სხვა ქალაქებს და წარმოდგენებს გამართავს. ტფილისში პირველ წარმოდგენას გამართავს საარტისტო საზოგადოების თეატრში სამშაბათს, 9 ივნისს. დასდგამენ ჩირიკოვის პიესას: „ებრაელები“. მეორე წარმოდგენა გაიმართება პარასკევს, 12 ივნისს ამავე თეატრში.

✦ **მკვლელობა.** 2 ივნისს, ღამის 11 საათზე, სურფ-კარაპეტის ხრამში ნახეს გვამი სიღნაღის მაზრის სოფელ ნუკრიანის მცხოვრების გიორგი ქურდაშვილისა, რომელიც სამგან აღმოჩნდა ხანჯლით დაჭრილი. პოლიციის ცნობებით, ქურდაშვილი მცარცველების ბრბოში ყოფილა. ბრბოს წევრებს შორის ამ ბოლო დროს უთანხმოება ჩამოვარდნილა და ქურდაშვილი დაშორებია ამხანაგებს. ამ მკვლელობაში ეჭვი მიიტანეს და პოლიციის მე-7 ნაწილში დააპატიმრეს მიკირტიჩ გაბრიელიანცი და ხეჩატურ ხეჩიანცი.

✦ **სამკითხველოები.** ქვემო იმერეთის სოფელ გოჩაჯიხაიში მცხოვრებთა წარმომადგენელმა შუამდგომლობა აღძრა წ.-კ. საზოგადოების წინაშე დაარსოს ამ სოფელში ბიბლიოთეკა-სამკითხველო. გამგეობას ქვემო ქვიტირის მცხოვრებთაც სთხოვეს ქვიტირის ბიბლიოთეკა-სამკითხველო თავის გამგებლობის ქვეშ მიიღოს. გამგეობამ აცნობა მთხოვნელთ მიმართონ ქუთაისის განყოფილებას.

✦ **სამკითხველო.** წ.-კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქართლის სოფელ ქვემო ჭალაში სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ. ბიბლიოთეკის პასუხის-მგებელ გამგედ იქნება ისონ ჯავახიშვილი.

✦ **ავტომობილები ნატანებსა და ოზურგეთს შუა.** როგორც გავიგეთ, მალე მოეწყობა ავტომობილების მიმოსვლა ნატანებსა და ოზურგეთს შუა. ამ საქმეს აწყობს ოზურგეთის ქალაქის თავი ბებურიშვილი.

✦ **სურათების გამოფენა.** მოსკოველ მხატვართა სურათების გამოფენა დაიხურება კვირას, 7 ივნისს, საღამოს 7 საათზე.

✦ **ლექცია.** კვირას, 7 ივნისს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში ვ. ვ. შარკოვი წაიკითხავს ლექციას: „პოლიტიკური ეკონომია“.

✦ **„ჯეჯილი“.** გამოვიდა მაისის ნომერი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილისა“. ნომერი ჩვეულებრივად საინტერესოა.

✦ **გურულების დეპუტაცია.** როგორც ვიცით, ტფილისში ჩამოვიდა დეპუტაცია რეალურ სასწავლებლის დაარსების გამო ოზურგეთში. უკვე ვწერდით, რომ დეპუტაცია სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან იყო გუშინწინ. დეპუტაცია ნამესტნიკმაც მიიღო. დეპუტაციამ დაწვრილებით გადასცა ყველაფერი ნამესტნიკს, აცნობა ისიც, რომ მცხოვრებნი მზად არიან გაიღონ 70 ათასი მანეთი შენობის ასაგებად და სხვა ხარჯისთვის. ნამესტნიკი სიამოვნებით მიჰგებებია სასწავლებლის დაარსების აზრს. საჭიროა ეხლა შეიკრიბოს ნახევარი მაინც დაპირებულ ფულისა და შემოდგომაზე უკვე დაარსდება რეალური სასწავლებელი.

✦ წერა-კითხვის საზოგადოების წინარეხის სკოლის შენობა მეტად დაძველებულა. რეგისტორს ყურადღება მიუქცევია ამისთვის და განუმარტავს მცხოვრებთათვის შენობის შეკეთების საჭიროება. წინარეხის სოფლის მცხოვრებთ მოლაპარაკების შემდეგ აურჩევიათ სკოლის მზრუნველებად გოდა არევაძე, დათა შარმახაშვილი და ვანო მარჯანიძე და დაუვალებიათ მათთვის სკოლის შენობის შეკეთება.

✦ დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში 2 ივნისისათვის დანიშნული იყო კრება ახალ კლუბის დამფუძნებელ წევრებისა. რადგან კანონიერი რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა, სხდომა გადაიდო ცხრა ივნისისათვის.

✦ 2 ივნისს საღამოს 7 საათზე გრაფის ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა გზად მიმავალი კაცი ასე 45 წლისა. უცნობის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

# ახალი წესწყობილება

(წერილი სტამბოლიდან).

ახალი წეს-წყობილება მთელის თავის ძალებით იფურჩქნება ძველის ნანგრევებზე.

დევიზი „თავისუფლება და პროგრესი“, რომელიც ასულდგმულებდა ახალგაზრდა ოსმალეთს ბრძოლის განსაცდელ დღეებში, ჯერ არას დროს არა ყოფილა ისე ახლო თავის განხორციელებასთან, როგორც დღეს. ოსმალეთის პოლიტიკური მდგომარეობა არას დროს არ წარმოადგენდა ასეთ კეთილ ნიადაგს ძალებისას, მჭიდროდ შეერთებულს ამ დიად დევიზის რეალიზაციისთვის, როგორც დღეს. თუმცა ძველის წეს-წყობილების მიერ დატოვებული მემკვიდრეობა საკმაოდ დიდია და ძნელად გარდასავალი და ამის გამო ახალ ოსმალეთს წინ უდგია უზომოდ დიდი სარეფორმო მუშაობა, მაგრამ ერის მიერ უკანასკნელი ბრძოლით მოპოვებული ძალა-უფლების სისრულე უზრუნველ-ჰყოფს საჭირო საშუალებებს ამ რეფორმების განსახორციელებლად.

ერთი წელი მალე გავა მას უკან, რაც საუკუნოებით დაგუბებულმა ხალხის უკმაყოფილებამ პირველად შეანძრია სულთა-მხუთავი დესპოტიური წეს-წყობილება. თუმცა ერმა პირველ გამოსვლისთანავე გაიმარჯვა, მაგრამ ეს გამარჯვება სრული არ იყო. მტარვალს იარაღი კიდევ ხელთა ჰქონდა და ყველასთვის აშკარა იყო, რომ ოსმალეთის დრამა დათავებული არ იყო. უკანასკნელ შეხლას უნდა გადაეწყვიტა საკითხი, საბოლოოდ გამარჯვებული ვინ დარჩებოდა. საუკუნოებით წამებული ერი სრულ სუვერენობის მოპოვებამდე ერთხელ კიდევ იქმნა გადასროლილი სისხლის მორევში დესპოტიზმის მიერ, რომელიც სასოწარკვეთილად იცავდა თავს. ისტორიულ მსვლელობით ზურგ-მოmagრებული, ახალი წეს-წყობილება ერთხელ კიდევ გამოვიდა გამარჯვებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლიდან. ამ მხრით 30 მარტი და 11 აპრილი აღნიშნავენ გადამწყვეტ ეტაპებს ოსმალეთის განთავისუფლებისას.

24 აპრილამდე ახალგაზდა ოსმალების აქტივობა შებორკილი იყო გარეშე გართულებულ საქმეებით, რომელიც შედეგი იყო დესპოტიზმის პოლიტიკისა. დღეს გზა ნანგრევებისაგან გაიწმინდა, ყველაფერი წინმსვლელობის შემაფერხებელი გადალახულია და ერმაც შეძლებისა დაგვარად გაშალა შემოქმედებითი მუშაობა.

ამ მომენტში ოსმალეთი ისეთ იშვიათ პოლიტიკურ ორგანიზაციით სარგებლობს, რომ ბევრს მეზობელ ერს შეშურდება. პარლამენტი და სენატი გამაგრებულნი თავიანთ ძალა-უფლებაში, განათლებულნი უკანასკნელ მწარე გამოცდილებით, უკვე მხნედ შეუდგნენ სარეფორმო მუშაობას, რომელმაც ძირიანად უნდა გარდაქმნას ოსმალეთი. მინისტრების კაბინეტმა უკვე გამოიჩინა შრომის უნარის დამამტკიცებელი ნიშნები და გაშალა საჭირო ენერგია დაცემულ ერის ფეხზე დასაყენებლად. სუ-სეკრეტარების რეფორმა უკვე განხორციელდა. სუ-სეკრეტარები ჩვენებურ მინისტრების ამხანაგებს უდრიან და უფრო დიდებითად, ნაყოფიერად გადააქცევენ სამინისტროების მუშაობას. ოტომანების კომიტეტი მხნედ მუშაობს საზოგადოების ყველა პროგრესისტულ ელემენტების შეერთებასა და გაძლიერებაზე. ჟურნალ-გაზეთობა ამოძრავებს და გამოსახავს საზოგადოებრივ აზრს. როგორც ვხედავთ, ოსმალეთი საკმაოდ შეიარაღებულ ძალებით შეჰხვდა სარეფორმო მუშაობას და ეს ძალები უზრუნველ-ჰყოფენ 24 ივლისს დაწყებულ საქმის წარმატებას.

გათანასწორება ყველა მოქალაქის უფლებისა, მოგვარება უზომოდ აწეწილ ეროვნულ საკითხებისა, საერო განათლება, საერთო სამხედრო ბეგრის მოწეს-რიგება და სხვა მრავალი საკითხი წამოუყენა აწმყომ ახალ წეს-წყობილების სათავეში მდგომთა ენერგიას.

ამ განსაცდელებით სავსე ისტორიულ მოსახვევში, ოსმალეთი მისდევს სხვა განათლებულ ქვეყნების გამოცდილებას და თავისებურად იმეორებს მათ ისტორიას. იგი გაურ-

ბის საბედისწერო შეცდომას რუსეთის „კონსტიტუციონურ" მთავრობისას, რომელიც რეფორმების შემოღებას დაწყნარების შემდეგ სთვლიდა და სთვლის შესაძლებლად. ახალგაზდა ოსმალნი ხმა მაღლა აღიარებენ დაწყნარებას „რეფორმებში და რეფორმების საშუალებით" და ძლიერად ეზიდებიან ოსმალეთს განახლებისაკენ.

ოსმალეთის სრულ გარდაქმნისთვის, თავისთავად ცხადია, საკმაო არ არის კონსტიტუციონურ პრინციპების მარტო ხმა მაღლა აღიარება. საჭიროა რეფორმატორის მარჯვენამ უწიოს ერის შუაგულამდე, შეიცვალოს საშუალო საუკუნის პირობები, რასაც შედეგად მოჰყვება შეცვლა ერის აზროვნებისა, იდეალებისა და სხვათა.

ამ მისიის შესასრულებლად მრავალმა გამოიღო თავი. ბევრი ებმის ეროვნულ ცხოვრებაში, და ნაციონალური აქტივობა თეორიის სივრციდან გადადის რეალურ ფაქტებში, ენერგიულ მოქმედებაში.

ახალგაზდა ოსმალებს წინდაწინვე გამოჭრილი არა ჰქონდათ განსაზღვრული სოციალ-ეკონომიური პროგრამა, მაგრამ ამ გარემოებამ ვერ შეუშალა მათ ხელი შეექმნათ პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის თავისუფალ პირობებში გამოღვიძებული ერები და საზოგადოებრივი კლასები თითონ იკისრებენ თავიანთ პოლიტიკურ-ეკონომიურ ინტერესებზე ზრუნვას.

შეიძლება აქ ნათქვამი ბევრმა გაზვიადებულად მიიჩნიოს, მაგრამ გაიხსენეთ, რა იყო გუშინ ოსმალეთი და რა არის იგი დღეს. საოცარი ბრძოლა ახალსა და ძველს შორის, სრული გამარჯვება ახლისა—თავდებია, რომ ოსმალეთს მომავალი აქვს.

დიაღ, აღმოსავლეთმაც გაიღვიძა, ან იღვიძებს. ირღვევა ევროპიელთა ზერელედ შედგენილი აზრი, რომ მუსულმანთა ქვეყნები განწირულნი არიან ისტორიის მიერ დასაღუპავად.

მუსულმანთა ქვეყნებიდან პირველად ოსმალეთი ჩაება ამ კეთილშობილურ, მაგრამ ქვეყნის განახლების საძნელო საქმეში. მთელი ევროპა მას შესცქერის ღრმა ინტერესით, თუმცა ამ ინტერესში „ავადმყოფ ადამიანისადმი" გრძნობას უფრო მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე კეთილ მოსურვებას. მეორეს მხრით მასზეა მიპყრობილი სამას მილიონ მუსულმანის თვალი, აქედან ელიან ხსნას, მაგალითს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მათთვის. რევოლიუციის ქარიშხალმა შეანძრია, ეროვნულ ცხოვრებისთვის გამოაღვიძა საღათის ძილში მყოფი აღმოსავლეთის ერები. პანისლამისტური იდეა, რომელიც შესტრფოდა მუსულმანურ ერების ერთ პანისლამისტურ სახელმწიფოში გათქვეფას, ამიერიდან ჰკარგავს ნიადაგს და ყველა ხალხში მის ადგილს იჭერს ეროვნული იდეალი. ამაშია უდიდესი მნიშვნელობა ოსმალეთის რევოლიუციისა.

თუმცა ოსმალეთი დღეს კიდევ შორს არის იმ იდეალზე, რომელსაც ეტრფიან აქ მცხოვრები პატარა ერები და რომელიც მათის ნორმალურ განვითარების აუცილებელ პირობებს შეადგენს, მაგრამ თავის შედგენილობით ისეთს სახელმწიფოს წარმოადგენს, რომ ქრისტიან ჯარის გაყვანის და ერების გათვითცნობიერების შემდეგ, იგი ბუნებრივის აუცილებლობით გადაიქცევა ფედერატიულად შეერთებულ შტატებად. ეს უკვე უწინასწარმეტყველეს მას ამას წინად გამოჩენილმა ევროპიელმა მეცნიერებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, როდესაც ოსმალების თხოვნით თავიანთი აზრი გამოსთქვეს ოსმალეთის მომავალ სახელმწიფოებრივ ტიპზე.

ამ მომავალ პოლიტიკურ მდგომარეობიდან გადმომდინარეობს მისი მისია, მხარი დაუჭიროს ყველა მეზობელ ერების ცდას თავის განთავისუფლებაში. ამიტომ მისი გამარჯვება და გამაგრება პატარა ერების გამარჯვებაა. ეს კარგად ესმით მეზობელ დიდ სახელმწიფოებს და ამიტომ ვერ შეჰრიგებიან და ვერც შეურიგდებიან ოსმალეთის განახლებას.

**გადახვეწილი.**

# მოწერილი ამბები

**საციციანო.** (ქართლი) საციციანო მთას, რომელიც 73000 დესეტინას აღემატება, განაგებს „ზემო-საციციანოს მთის კანტორა". გამგეობა შესდგება ერთის მოურავისა და კასსირისაგან. ჰყავს აგრეთვე ტყის მცველები. გამგეობა წელიწადში ერთხელ ნიშნავს დროს, როდესაც მამულის პატრონნი ციციშვილები და სხვა გვარნიც, რომელნიც კი მონაწილეობენ ამ მამულში იკრიბებიან და კანტორის მოქმედებაანგარიშს იხილავენ.

საქართველოში ქართველთა მემამულეთა შორის მხოლოდ ციციშვილებს აქვთ მოწყობილი საერთო გამგეობა მამულებისა. საყურადღებოა ციციშვილების კანტორა, იმიტომ რომ შეიძლება ამ კანტორამ გააუმჯობესოს სამთო მრეწველობა, გააჩაღოს იგი ქართლში. ქართლის მცხოვრებნი გაფაციცებით ადევნებენ თვალს საციციანო მთის გამგეობას და მოუთმენლად ელიან მუშაობის დაწყებას. მიმდინარე წელს ხსენებულმა კანტორამ რამდენჯერმე მოახდინა საციციანოს მთის პატრონთა კრებები და უმთავრესი საგანი კრებებისა იყო მადნების შესახებ სჯა. საციციანოს მთა სავსეა ყოველნაირ მადნით. ბლომად არის მარგანეცი, სპილენძი, ტყვია-ვერცხლი და სხვა. სამთო-მადნის ინჟინრები საციციანოს კანტორას ხშირად მიმართავენ ხოლმე მთამადნეულების გამოსაკვლევად.

17 მაისის კრებაზე განიხილეს ინჟ. ტვაიტის პირობა.

სხვა ინჟინრებსაც გამოეგზავნათ ხსენებულ მემამულეებთან თავიანთი პირობები, მაგრამ აღარ განიხილეს, რადგან დრო აღარ იყო. აირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა გამოსძებნოს სანდო ინჟინერი საციციანოს მთაში მადნეულობის გამოსაკვლევად. ამ კომისიის წევრებს—კოს. ნოდ. ციციშვილს, რ. ერისთავს, ი. გ. ციციშვილს—უკვე შეუმუშავებიათ ინჟინრებთან დასადები პირობები და განხილული იქნება კრებაზე.

უკანასკნელს კრებას მეც დავესწარ და კერძოდ რამდენიმე ციციშვილს ვუთხარ, რომ ქართველი ინჟინერი მოეწვიათ. მათ ასე მიპასუხეს: ჩვენდა სამწუხაროდ, წინად ქართველი ინჟინერი მოვიწვიეთ, მაგრამ გვიღალატა. ეს იყო ჩვენი მეზობელი. თურმე ჭიათურის სამრეწველო საზოგადოებასთან კავშირი ჰქონდა და ჩვენი მადნები არ გამოირკვლია, უფრო დამალა და დაგვარწმუნა კიდეც, რომ არავითარი მარგანეცი არ არის და თუ არის, ისიც ძალიან დაბალი ხარისხისაო. ჩვენი მთა რკინის გზის ლიანდაგის გაყოლებაზეა, სკრის, ქარელის და გომის სადგურებიდან მადნები სულ 6—10 ვერსის მანძილზეა და ბათუმამდე ფუთ მარგანეცის გადატანა 4 კაპეიკზე მეტი არ დაჯდება. ჭიათურის მარგანეცის ფუთის გადატანა კი გგონებ 12 კაპეიკზე მეტი ჯდება. სიტყვა არ უნდა, თუ არ გაფრთხილდით, შესაძლოა კიდევ ისეთს ინჟინერს შევეყრად, რომ ჭიათურის სამრეწველოსთან ჰქონდეს საქმე დაჭერილი და საქმე წაგვიხდინოს".

ამ ამბავს ყოველი ციციშვილი ხმა მაღლა ლაპარაკობს და უსაყვედურებს იმ ინჟინერს.

ვინ იყო ეს ინჟინერი, არ ვიცი. ეს კი ვიცი, იმის მოწვევაზე 5000 მანეთზე მეტი დაიხარჯა და ბოლოს გამოცხადდა, რომ საციციანოში არ არის მარგანეცი. ნამდვილად საციციანოს მთის მარგანეცით ინჟენერები აღტაცებაში მოდიან და ეს არის მიზეზი, რომ ხსენებულს ბლომად კანტორას მისდით წერილები, არა ჩვენ შეგვკვრით, არა ჩვენაო.

ამავე კრებაზე ციციშვილებმა გადასწყვიტეს, იქონიონ ერთი სტიპენდია. ამ ჟამად სტიპენდია დაენიშნა ს. ა. ციციშვილს, რომელიც საზღვარ-გარედ სწავლობს. **მამა-პიროსელი.**

**თერგის ოლქი.** წელს აქეთ გრილი ზაფხულია. კავკასიონის მთებს ხშირად ჩამოსთოვს ხოლმე, მაგრამ რიგიანი წვიმა მაინც არსად მოსულა და გვალვაა ბარად. ამის გამო სიმინდის თესვა შეფერხდა, მაისი მიიწურა, მაგრამ მაინც ჯერ ისევ ხნავენ სიმინდს ბარის ოსეთში.

სიმინდის ფასი აქეთ თანდათან მატულობს, ფუთი სიმინდი ამ ჟამად 70 კაპ. ფასობს. ან და როგორ გაიაფდება სიმინდი, როცა წინად დესეტინა სახნავ მიწას ხუთ მანეთად ქირაობდნენ, ეხლა-კი თხუთმეტ მანეთად, ოცდათუმნად ქირაობენ, ხეხილის მოსავალიც ვერ არის კარგი.

მაისის შუა რიცხვებში ბარის ოსეთი რევიზიაზე დაიარა კავკავის ეპისკოპოსმა აგაპიტმა. სხვათა შორის 15 მაისს ეპისკოპოსი მივიდა სოფელ ხუმელაგაში. მას სოფლიდან სოფლამდე ცხენოსნები დროშით ეგებებოდნენ და აცილებდნენ. ხუმელაგელი ცხენოსნები ბათოუს მიწის საზღვარზე მიეგებნენ; აქ დროშის დაჭერა მაჰმადიან ოსს ჩაუგდო ხელში. ხუმელაგაში ეპისკოპოსმა, ეკლესიიდან რომ გამოვიდა, გალავანში შეკრებილ ხალხის წინაშე ქადაგება დაიწყო. ამ დროს ოთხიოდე ახალგაზრდა მივარდა დროშის დამჭერს მაჰმადიანს და უთხრა: შენ მაჰმადიანი ხარ, ჩვენ კი ქრისტიანები, ეპისკოპოსიც ჩვენია და დროშაც ჩვენ უნდა გვეჭიროსო. ამაზე შეჰყვნენ ერთმანეთს და ასტეხეს ჩხუბი. მაჰმადიანი ცხენიდან ჩამოაგდეს, დროშაც წაართვეს და სცემეს კიდეც. ამის გამო ხალხში ჩოჩქოლი და არეულობა ასტყდა. იქვე მყოფმა ბოქაულმა დამნაშავე ახალგაზრდების დაჭერა მოინდომა, მაგრამ მათ თავს უშველეს და მიიმალნენ. ხუმელაგიდან ეპისკოპოსი წავიდა სოფელ ბესლანში. ეპისკოპოსს ხუმელაგიდან ბესლანამდის გაჰყვნენ ცხენოსნები და, მათ შორის, ის ყმაწვილებიც, რომელთაც ხუმელაგაში ჩხუბი ასტეხეს. ბესლანში რომ ავიდნენ, ბოქაულმა მილიციონერებს უბძანა მათი შეპყრობა, მაგრამ, მათ რომ ეს შენიშნეს, გაიქცნენ. ეხლა კი ვეღარ მოითმინა ბოქაულმა და უბძანა მილიციონერებს, ესროლეთო. მათაც, რასაკვირველია, ესროლეს. ერთს ტყვია მოხვდა, ერთ გაქცეულს ბიზართვს მარცხენა მკლავში, მიამტვრია მკლავი და გადმოაგდო ცხენიდან. იგივე ტყვია მოჰხვდა დერეფანში მდგომ გასათხოვარ ქალს და მძიმედ დასჭრა.

ასე გათავდა ეს საქმე. საზოგადოდ ამ ბოლო დროს ქიშპობა ქრისტიან და მაჰმადიან ოსებს შორის. მაჰმადიანი ოსები სცდილობენ ბევრი ურვადი დახარჯონ (1000 მანეთზე მეტიც) ქრისტიანე ოსის ქალი შეირთონ და გაამაჰმადიანონ.

22 მაისს სოფელ გიზელს ზევით, ტყის პირად, ბერდანით ხელში ღამე ერთი ოსი ხარებს აძოვებდა. ამ დროს ხუთს ქისტს მოუდიოდათ ხუთი-ექვსი მოპარული ხარი. ქისტები რომ მოახლოვდნენ, ოსს შესძახეს: „აბა, ოსო, დააგდე ეგ თოფიც, დასტოვე ეგ ხარებიც და გასწი შენთვის, თორემ გაგათავებთო". ოსი არ შეუშინდა მუქარას, ხეს ამოეფარა, ესროლა და ერთი ქისტი გადმოაგდო, ესროლა კიდევ და დასჭრა მეორე ქისტი. ქისტებმაც იქით-აქეთიდან დაახალეს თოფები და ოსი მძიმედ დასჭრეს მუცელში. ქისტებმა მკვდარი ამხანაგი და ხარები იქ დასტოვეს, დაჭრილი ამხანაგი გაიტაცეს და გაიქცნენ. თოფის ხმაზე სოფლიდან მდევარი გამოვიდა და დაჭრილი ოსი კავკავში საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გარდაიცვალა. მკვდარი ქისტი სამი დღე იდო იქ, სადაც მოჰკლეს, ჰყარაულობდნენ, მაგრამ არავინ გამოუჩნდა და ვერც გაიგეს, სადაური იყო.

ოცდა-შვიდსა და ოცდა-რვა მაისს მშვენიერი ჟუჟუნა წვიმა მოვიდა და ხასხასი დააწყებინა დაღონებულს მინდორ-ველს. **ქართველი ოსებში.**

**ს. ახალ-სოფელი** (თიანეთის მაზრა). 22 მაისს ახალ-სოფელში მოვიდნენ ყველ-ერბოს მკეთებლები ლევან ზარაფიანი და ელიზბარ კარბელაშვილი და ჩამოხდნენ ადგილობრივ მღვდელ ნ. ბაკურაძესთან, რომლის შემწეობითაც მათ იშოვეს ორ ფუთ ნახევარზე მეტი რძე, დაიბარეს ხალხი, რომ ეყურებინათ, თუ როგორ კეთდება გაუმჯობესებულის წესით ერბო და ყველი. ბინდისას ხალხი შეიკრიბა და შეიქმნა მითქმა-მოთქმა: ვინ არიან ეს მოსულნი და ან რა აზრით მოსულან; ალბად ეგენი დაგზავნილები არიან, შეიტყონ ჩვენი წველა-დღვება და მერე მას ხარჯი დაადონო, თორემ ჩვენს სწავლაზე, სიკეთეზე უწინ ვის უზრუნია, რომ ეხლა იზრუნოსო. ამ მითქმა-მოთქმის შემდეგ ე. კარბელაშვილმა აუხსნა ხალხს, ვინ არიან ისინი, რისთვის მოსულან და ან რა სიკეთის და სარგებლობის მოტანა შეუძლიან რძის ამნაირად დამუშავებას; მანქანის საშუალებით გაარჩია რძე ნაღებისგან, აუხსნა, თუ როგორ კეთდება ნაღებისაგან კარაქი, რძისაგან ყველი, ხალხს მანქანა და თვითეულის იმის ნაწილის დანიშნულება აუხსნა ხალხს. ხალხი გაოცებული დარჩა და ნდობის თვალითაც შეჰხედა. რასაც მკითხავები გვეუბნებიან, სულ ტყუილი ყოფილა, დასწყევლოს ღმერთმა მაგათი თავიო: როდესაც ნაწველი აღარ შეიდღვიბება, ავიღებთ ქადას, ერთ აბაზ ფულს და მივდივართ მკითხავთან შევიტყოთ, რად გაიბა ჩუმა და ერბო დოგისგან არ ირჩევა; მკითხავი აბაზს ჩასჯიბავს, ქადას თაროში შეინახავს და რძის შეუდღვებლობას ან მკვდრის სულს დააბრალებს, ან რომელიმე ხატის მიზეზს, ან ავთვალს, ან შედღვების დროს შესწრებულ კაცის სულს, რომელსაც უნდა შედღვების შემდეგ ჩუმა აჭამოს. კოფელამ სთქვა: მე მკითხავმა მითხრა, რომ ყველა შენს ძროხებს თვალი აქვს ნაკრავი ავი კაცისაგან, წადი მაღალოს ხის ჯვარი გააკეთე, რადგან მაღალოს ეშმაკი არ უდგება, მომიტანე აქ, მე შეულოცავ, ჩამოჰკიდე სადღვებელზე და ეშმაკი სამუდამოდ ძლეული იქმნებაო. მეც დავუჯერე, წაველ და მაღალოს ჭრის დროს მოვირტყი ცული ხელში და ბერა-თითი კინაღამ სულ მოვიგდებინე; მას შემდეგ ეს თითი დამიშავდა და რიგიანად ველარ ვხმარობო. ზოგმა რა სთქვა, ზოგმა რა. კარბელაშვილმა განუმარტა, რომ ამ მანქანას არავითარი მავნე თვალისგან არ ეშინიან და რაც ქვეყანაზე ეშმაკებია, რომ ამ მანქანას დაეხვივნენ, მაინც ვერას დააკლებენ და ყოველთვის რძე უვნებელი იქნებაო. ხალხი კმაყოფილი დარჩა და რადგან დაღამდა, შედღვების და ყველის გაკეთების დრო აღარ იყო, იგი დაითხოვეს და მეორე დღისთვის დაიბარეს.

სასურველია, რომ ამნაირი პირები სოფელში ერთი-ორი დღე კი არა, მთელი თვეები რჩებოდნენ, რადგან ერთი-ორი დღის განმავლობაში საქმის გაკეთება და უმეცრებასთან ბრძოლა, კარგად მოგეხსენებათ, ძლიერ ძნელია. **შ.**

**ნატახტარი** (დუშ. მაზრა). სოფ. ნატახტარის მეთევზეებს 31 მაისს ქალაში უნახავთ არაგვისაგან გამორიყული ვიღაც თათარი. შეუტყობინებიათ ვისთვისაც ჯერ არს. თურმე იმ დილითვე მოუკლავთ ეს თათარი და წყალში გადაუგდიათ. თოფის ხმა ბევრს გაუგონია და ვისაც ამაზე კრინტი დაუძრავს, პოლიციას იმათზე მიუტანია ეჭვი. ნატახტრელების საბედნიეროდ თვით მოკლულის ნათესავებს უთქვამთ, რომ მას მტერი ვიღაც აბაზა თათარი ჰყავდაო. შეუპყრიათ აბაზა და მკვლელობაში გამოტეხილა. მხოლოდ იმასაც სხვა თათარზე უჩვენებია, რომ ფულს დამპირდა ამის მოკვლაშიო. რამდენიმე ტყვიით დახვრეტილი მკვდარი ნატახტარში ასვენია და გამომძიებელს ელიან.

# ოსმალეთი

**გერმანია ერთ კუნძულს თხოულობს.**

ფრანგული გაზ. „ეკო-დე-პარი" იუწყება, რომ გერმანიის მთავრობამ ოსმალეთს სთხოვა ერთ-ერთი კუნძული ხმელთა შუა ზღვაში ქვანახშირის სადგურის გასამართავად. გერმანიის მთავრობას ამ საქმეში ავსტრიაც უჭერს მხარსაო.

**კავშირი ოსმალეთსა, ბოლგარიასა და სერბიას შორის.**

ხმა დადის, რომ ოსმალეთმა, სერბიამ და ბოლგარიამ სამხედრო კავშირი შეკრეს ერთმანეთთანო. ამ კავშირის მიზანია — წინააღმდეგობა გაუწიოს გერმანელების შემოსევას ბალკანეთში.

**კრიტოსის საქმე.**

დიპლომატთა წრეებში ამბობენ, რომ კრიტოსის მფარველმა სახელმწიფოებმა დაადგინეს კრიტოსის საქმის გადაწყვეტა ოქტომბრამდე გადიდვასო.

„რუსკ. სლოვო"-ს სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება 29 მაისს თარიღით: „ის ცნობა, ვითომ სახელმწიფოები აღარ გაიყვანენ ჯარებს კრიტოსიდანო, ჯერ ოფიციალურად არაა შემოწმებული. სტამბოლის პოლიტიკოსთა წრეები ამბობენ, რომ სახელმწიფოების ასეთი ქცევა მხოლოდ რამდენიმე ხნით გადასდებს კრიტოსის საქმის გადაწყვეტასო. ახალგაზდა ოსმალებს-კი უნდათ, რომ ეს საქმე ამ წამსვე გადასწყდეს. მათის აზრით, ეს საკითხი მანამდე არ გადასწყდება, სანამ კრიტოსის მთავრობა მოქმედებს საბერძნეთის მეფის სახელით და ამით არღვევს ოსმალეთის უზენაეს უფლებას.

ბოლოს დროს ხმა გავრცელდა, რომ ოსმალეთის ფლოტი, რომელიც ვითომ და ალლუმის გასამართავად წავიდა მარმარილოს ზღვასა და არხიპელაგში, ნამდვილად სულ სხვა მიზნით წავიდაო: იგი ჯარს გადიყვანს კრიტოსზე და იქაურ კანეის სიმაგრეებს დაიჭერს, როცა სახელმწიფოები ჯარს გაიყვანენ იქიდანო. ხმა დადის, რომ სტამბოლიდან სალონიკში გაგზავნეს სამი პოლკი ქვევითა ჯარი არტილერიითო.

ასეა თუ ისე, ახალგაზდა ოსმალები და მთავრობა არაფერს არ დაზოგვენ, რომ ოსმალეთს დაუბრუნონ უზენაესი უფლება კრიტოსზე".

საბერძნეთის საელჩოში ვენაში უთქვამთ იმავ გაზეთის კორესპონდენტისთვის: კრიტოსის საქმის გადაწყვეტის გადადება ძლიერ აღელვებს მთელს საბერძნეთს, რადგან სახელმწიფოები დიდი ხანია დაჰპირდნენ საბერძნეთს, რომ 1909 წლის ივნისის გასულს ევროპის ჯარი გაყვანილ იქნება კუნძულიდანაო. ფაქტიურად კრიტოსი დიდი ხანია აღარ ეკუთვნის ოსმალეთს. მხოლოდ სუდის ნავთსადგურის სიმაგრეებზეღა ფრიალებს ოსმალეთის ბაირაღი. ოსმალეთმა უნდა შეიგნოს, რომ მას არ შეუძლიან კრიტოსის მმართველობა. საბერძნეთი ეხლა უკეთესადაა მომზადებული, ვიდრე 10 წლის წინად იყო. მისი ფლოტი გაცილებით ძლიერია ოსმალეთისაზე, ჯარიც კარგი ჰყავსო".

ორივე მხარე საომრად ემზადება. კრიტოსის მილიცია ბეჯითად მოქმედებს, სამხედრო საქმეში ვარჯიშობს და სამხედრო მასალას იმზადებს.

ოსმალეთის მთავრობამ საჩქაროდ ჯარი დაიბარა მცირე აზიიდან; გენერალი ფონ-დერ-ჰოლცი ფაშა სტამბოლში მიიწვიეს.

**რუსეთი შემწეობას აძლევს აკლებულ სომხებს.**

გაზ. „მშაკ"-ი იუწყება, რომ რუსეთის ელჩად ნამყოფმა სტამბოლში ზინოვიევმა პირადად ინახულა სომხის პატრიარქი იზმირლიანი და სხვათა შორის შეატყობინა, რომ რუსეთის მთავრობამ 5,000 ფრანკი შესწირა ადანაში აკლებულ სომხებს, ხოლო რუსის სხვა ქველ-მოქმედმა საზოგადოებებმა 2,150 მანეთიო.

ამას გარდა დაზარალებულ სომხების სასარგებლოდ შესწირეს: ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ 50,000 დოლარი (100,000 მან.) და ამერიკის კოლეგიამ ბეირუთში 5,000 დოლარი.

# სპარსეთის ამბები

**რუსეთი და ინგლისი სპარსეთში.**

ინგლისის საზოგადოება მეტად უკმაყოფილოა მით, რომ რუსეთის მთავრობამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა მეგობრობა ინგლისთან და თავისი ჯარი აღარ გამოჰყავს სპარსეთიდან. საზოგადოების უკმაყოფილებამ, რაღა თქმა უნდა, გავლენა იქონია ინგლისის დიპლომატიაზეც. გერმანულ გაზ. „ტაგ"-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან:

„აქაურ დიპლომატებისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის გარემოება, რომ ბოლოს დროს ინგლისის ელჩი ნიკოლსონი მეტად ხშირად დადის რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში და ისე დღე არ გავა, რომ იგი არ ესაუბროს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს იზვოლსკის. ყოველ ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ ინგლისის ელჩი იზვოლსკის ელაპარაკება უმთავრესად სპარსეთის საქმეებზე და არა გვგონია, რომ ეს თათბირი ასე ხშირად იმართებოდეს, რუსეთსა და ინგლისს შორის რომ სრული თანხმობა სუფევდეს. არა თუ მარტო ინგლისური პრესა, თვით ინგლისის ხელმძღვანელ[illegible] იყოს, ამ[illegible] და იქნებ [illegible]ლება აშკარა სიძულილადაც გადაიქცეს. რუსეთი ჰფიქრობს, რომ რუსის ჯარის გამოყვანა თავრიზიდან შეუძლებელია; მაშინ სპარსეთში ისევ არეულობა დაიწყება, ვაჭრობა შესწყდება და რუსეთის სახელი მთლად დაეცემა, რადგან სპარსელები იფიქრებდნენ—და არა უსაფუძვლოდ—რომ რუსეთმა ნებაყოფლობით კი არა, ინგლისის ძალდატანებით გაიყვანა ჯარიო. მეორეს მხრით, გენ. სნარსკის დარჩენა სპარსეთში ჭკუაში არ მოსდის ინგლისის მთავრობას. ინგლისის ელჩის ბარკლეის მთელი დიპლომატიური მეცადინეობა თეირანში სულ ამაო გახდა მას შემდეგ, რაც სპარსეთში გაჩნდნენ რუსის ხიშტები და ამიტომ საკვირველი აღარაა, რომ ინგლისის ელჩი ნიკოლსონი ამის თაობაზე ხშირად და ჯერ-ჯერობით მეგობრულად ეთათბირება ხოლმე რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს იზვოლსკის.

**რუსის ჯარი ურმიაში მიდის.**

თავრიზიდან რუსის ჯარისკაცებისა და ყაზახების ნაწილი ურმიაში გაგზავნეს.

**არეულობა ისპაჰანში.**

ისპაჰანსა და მის ოლქში დიდი არეულობაა.

კაშანშიაც დიდი უწესოებაა.

**საარჩევნო კანონი.**

ახალი საარჩევნო კანონი ერთი კვირის წინ გაუგზავნეს შაჰს დასამტკიცებლად, მაგრამ შაჰს ჯერაც არ დაუმტკიცებია. იგი არა სთანხმდება იმ მუხლს, რომლის ძალით ერთის ქალაქის ამომრჩევლებს უფლება აქვთ სხვა ქალაქის მცხოვრები აირჩიონ დეპუტატად, რადგან „ამ მუხლის წყალობით ყველა [illegible]სელი მეამბოხე მეჯლისში მოექცევაო".

**თეირანელ სოციალისტების პროკლამაცია.**

თეირანელმა სოციალისტებმა გამოსცეს პროკლამაცია, რომელშიაც თხოულობენ, რომ მეჯლისის არჩევანი დაუყოვნებლივ დაინიშნოსო და აცხადებენ, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან სენატის დაწესებისა — ორი პალატა არაა საჭირო სპარსეთისთვისო, — ამბობენ სოციალისტები, — ერთი მეჯლისიც კმარაო.

**ფინანსთა მინისტრი მოდის თეირანში.**

ფინანსთა მინისტრად დანიშნულმა ნასრ-ულ-მულკმა დეპეშა გამოგზავნა ბრიუსელიდან, თეირანში მოვდივარო. ნასრ-ულ-მულკი კარგა ხანია დანიშნეს მინისტრად, მაგრამ იგი აქამდე ვერა ჰბედავდა თეირანში წასვლას, შაჰის ვერაგობისა ეშინოდა.

**ეინუდ-დოვლე შაჰის სასახლეშია.**

ეინუდ-დოვლე თურმე საიდუმლოდ დაბრუნდა თეირანში და მაშინვე შაჰის სასახლეში სულთანაბადში წავიდა. შაჰი, რომელიც ეინუდ-დოვლეს მოღალატედ სთვლიდა, ეხლა ბაგადურ-ჯენგის წყალობით მოლბა, აპატია თავის სარდალს და დაჰპირდა უმაღლეს თანამდებობას.

**თავრიზში.**

გერმანიის საკონსულოში ას კაცზე მეტი ჩაჯდა ბესტში. ბაზრის ნაწილი დიკეტილია, ვაჭრობა საშინლად დაცემულია.

# უცხოეთი

**იაპონიის ახლანდელი მდგომარეობა**

„რუსკ. ვედომოსტ"-ში ბ. კორსაკოვი დაწვრილებით აწერს იაპონიის ეხლანდელ ვითარებას:

„იაპონიის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება მაგარ, საქმიან და დალაგებულ ნაბიჯით მიდის მკაფიოდ შეგნებულ მიზნისკენ. იაპონია მედგრად ავითარებს თავის სახელმწიფო და ეკონომიურ ძალას როგორც შიგ თავის ქვეყანაში, ისე გარეთაც, მეტადრე ახლოდ დაჭერილ ქვეყნებში: კორეასა და ფორმოზაზე... იაპონია გულმოდგინედ ცდილობს თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა ჩინეთშიაც გააძლიეროს, უფრო ღრმად შეიჭრას მანჯურიის შუა გულში. ამისათვის იგი ყოველნაირად ცდი-

ლობდა, რომ ჩინეთისაგან მიეღო უფლება რკინის გზის აშენებისა სამხრეთ მანჯურიაში ფაკუმინიდან სინმინტინამდე, ხოლო აქედან ეს გზა გაეგრძელებინა გირინამდე.

ამ რკინის გზის გაყვანა დიდ უპირატესობას მისცემდა იაპონელებს ჩინეთში მეტადრე რუსეთის წინააღმდეგ ომის დროს, რადგან გზას, რომელსაც გადააბამდნენ კორეაში გაყვანილ რკინის გზებთან, მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა: მაშინ იაპონია გაბატონდებოდა სამხრეთ და შუა მანჯურიის ნაწილში.

ეგაა, ამ საქმეში იაპონია არ გამოდგა ყოვლად ძლიერი. ჩინეთი და რუსეთი ვერას გახდებოდნენ იაპონიასთან, მაგრამ ამ რკინის გზის გაყვანას წინააღუდგნენ ინგლისი, გერმანია და ამერიკა, რომლებსაც შეეშინდათ იაპონიის ვაჭრობის კონკურენციისა ჩრდილოეთ ჩინეთსა, მანჯურიასა და მონგოლიაში, თორემ რუსეთისა და ჩინეთის დარდი როდი ჰქონდათ მათ. ხსენებული სახელმწიფოები ჩაერივნენ საქმეში და იაპონიას ხელი აალებინეს ზემონათქვამ რკინის გზაზე.

იაპონია ხელახლად უმეგობრდება ჩინეთს, ეგაა ჩინეთი როდი ლაექვემდებარება იაპონიის გავლენას. რუსეთთან და ამერიკასთან ამ ჟამად იაპონიას კარგი განწყობილება აქვს. საზოგადოდ მისი გარეშე პოლიტიკური მდგომარეობა მაგარი და კარგად მოწესრიგებულია. ესევე არ ითქმის მის შინაგან მდგომარეობაზე ხალხი გალარიბდა, იაპონიის კრედიტი საზღვარ-გარედ შედარებით შესუსტდა, ვაჭრობა დაეცა და ცხოვრება კი გაძვირდა.

ეს სიძვირე ყველაზე ცუდად მოქმედებს სასოფლო მეურნეობაზე და სოფლის ხალხზე, რადგან ცხოვრების გაძვირებამ გააძვირა შრომის ფასიც, ხოლო მიწის უქონლობის გამო მეურნეობის გაფართოვებაც შეუძლებელია. ამიტომ დიდ-ძალი იაპონელი მიდის დასასახლებლად კორეაში: 1906 წელს კორეაში გადასახლდა 60 ათასი იაპონელი, 1908 წელს—უკვე 100 ათასი.

ვაჭრობის კრიზისმა და ხალხის გალარიბებამ დააფიქრა ლიბერალური პარტია, მისი წარმომადგენლები პარლამენტში შეერთდნენ და მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყეს.

1909 წელს საპარლამენტო არჩევანში ოპოზიციამ აჯობა კონსერვატიულ პარტიას. 379 დეპუტატიდან აირჩიეს 194 ლიბერალი, 66 რადიკალი, 43 დეპუტატი ახლად დაარსებულ პარტიისა, 41 დეპუტატი ვაჭრების წოდებისა, 30 კონსერვატორი და 5 უპარტიო. ამნაირად შეერთებულ ოპოზიციას 260 დეპუტატი ჰყავს პარლამენტში.

პარლამენტის პირველ სხდომებზე ბიუჯეტის განხილვის დროს შეერთებული ოპოზიცია შეებრძოლა მთავრობას: იგი წინააღუდგა გადასახადებისა და ბაჟების მომატებას და მოითხოვა მთელი საფინანსო პოლიტიკის რეორგანიზაცია. ოპოზიცია გულმოდგინედ წინააღუდგა სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვის მომატებასაც.

ცხოვრების გაძვირებამ იაპონიაში გამოიწვია საინტერესო ბრძოლა ფუფუნების წინააღმდეგ. ყაირათი და ფულის დაზოგვა პირველად თითონ იმპერატორმა ურჩია ხალხსა. მან ჯერ ბძანება გამოსცა რომ სასახლის სამინისტრომ გააუქმოს ყველა მეტი ხარჯები და მარტო ის ხარჯები დასტოვოს, რომლებიც ნამდვილად საჭიროა. ამის შემდეგ იმპერატორმა მოწოდებით მიმართა მთელს ხალხს და ყველას ურჩია ყაირათი და მთელმა იაპონიამ შეისმინა და შეასრულა მისი რჩევა. უმაღლეს წრეების ქალები ერთმანეთს ეჯიბრებიან: უბრალო, სადა ტანისამოს იკერვენ და ძვირფას მატერიებს ახლო არ იკარებენ.

იმპერატორის მოწოდება ყაირათის შესახებ გაავრცელეს მთელს იაპონიაში და ყველა სავაჟო თუ საქალებო სკოლებში; ყველგან გაიხსნა ხალხისთვის ახალი შემნახველი კასები, სადაც იაპონელებს შეაქვთ გამოზოგვილი ფული.

# რუსეთი

✦ **„საინტენდანტოს ვირთაგვები“ და სენატორის რევიზია.** საინტერესო ცნობებია „რუსკ. ვედომ“-ში. გაზეთის პეტერბურგელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, თუ სენატის რევიზიას რა უზომო ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენია საინტენდანტოში. ერთ ფირმას 25 წელიწადი ჰქონია საქმე მოსკოვის საინტენდანტოსთან. ამ ხნის განმავლობაში ფირმას 25 ათასი მანეთი გაუღია მოხელეთა მოსაქრთამავად. ქრთამებს მარტო საინტენდანტოს უწყებას არ აძლევდნენ. ფულის დახარჯვა უხდებოდათ იმ უწყებათა მოხელეების მოსაქრთამავადაც, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონიათ საინტენდანტოსთან. ქრთამს მარტო ერთი ფირმა არ აძლევდა მოხელეთ. ცნობილია რომ კონკურენციის დროს, როდესაც რამდენიმე მოიჯარადრე ან საქონლის ჩამბარებელია, ყველა ცდილობს აიღოს საქმე და აიგოს სხვისი პირობები. ამასათვის ფულია საჭირო მოხელეთა დასაქრთამავად. მოსკოვში ზოგიერთ შემთხვევაში საქმის გასაცემად ვაჭრობას არც კი ახდენდნენ და აბა ამისთვისაც ქრთამი პირველ რიგზე იყო ხოლმე. ამ სამი წლის წინად საჭირო იყო 800.000 მანეთის საქმის შესრულება. ერთმა საქონლის ჩამბარებელმა სტოლის უფროსს 17—20 ათასი მანეთი მისცა ქრთამში. სულ პატარა მოხელენი და მოსამსახურენიც-კი ძალას წარმოადგენენ. ყოფილან მაგალითად კარებთან მდგომი მორიგენი. ესენიც კი თვიურად იყვნენ გარიგებულნი და საქმის ჩამბარებელთაგან თვიურად იღებდნენ თითო თუმანს. ასე რომ ამ მოხელეთ „ოცი“ რიცხვი რამდენჯერმე ჰქონიათ დაწესებული. ხშირად მოიჯარადრენი დროზე ვერ აბარებდნენ საქმეს. აი ამ დროს საწყობის ზედამხედველი აძლევდა „ნაკლადნოის“, რომ საქმე ჩაბარებულია, საქონელი ამდენი და ამდენი მიღებულიაო. მოსკოვის საინტენდანტოში სულ საწყობის 12 ზედამხედველია და თვითოეულს მათგანს თვიურად 150—200 მანეთამდის ეძლეოდათ ქრთამად. ამ თვიურს „ჯამაგირის“ გარდა, წლის ბოლოს ამათ „საჩუქარიც“ ეძლეოდათ საქმის ჩამბარებელთაგან. რაოდენობა საჩუქრისა თვიურ ჯამაგირზე ნაკლები არა ყოფილა. ყველაზე ძნელია ჩამბარებელ კომისიასთან საქმის დაჭერა. რუსეთ-იაპონიის ომამდე საქონლის მიმღები კომისია მოსკოვში ოთხ განყოფილებისაგან შესდგებოდა. ხოლო ომის დროს და დღესაც ექვსი განყოფილებაა. კომისიის თავმჯდომარეს მიუღია 48.000 მანეთის საქონელი. ქრთამათ საქმის ჩამბარებელს დაუხარჯავს 3005 მანეთი, ერთ ტეხნიკოსს სულ 4 წელიწადი უმსახურნია საინტენდანტოში და 300.000 მანეთი მოუგროვებია, უეჭველია, „შავი დღისათვის“. ოღონდ-კი ქრთამი ყოფილიყო, და არ-არსებულ საქონელს საინტენდანტოს საწყობის სიაში ნახავდით. მაგრამ მარტო აქ არა თავდება ბოროტ-მოქმედება. მოქრთამეობა ყოველ დარგში, ყოველ განყოფილებაში ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. უფრო რთულ ოპერაციებში, მეტი სარბიელი ჰქონიათ ამ „ვირთაგვებს“.

ხაზინას 1885 წლამდის თითონა ჰქონდა მოწყობილი სამკერვალოები და ბეჭედ დაკრულ საქონლისაგან ამზადებინებდა ტანისამოსსა და ფეხსაცმელებს. მხოლოდ 1885 წელს კერძო კაცებმა დიდმოხელეთა დახმარებით იჯარით აიღეს ეს საქმე. შეკერვა და დამზადება ფეხსაცმელებისა მათ იკისრეს. ამის მოხერხებისთვის მოხელეებს 125,000 მანეთი მისცეს ქრთამად, რომლიდანაც 30 ათასი ერთ დიდ ბობოლას არგუნეს, 20 ათასი უფრო იმაზე პატარა ბობოლას, ხოლო დანარჩენი მთელმა საინტენდანტო უწყებამ გაიყო. ამისთანა რამ ბევრი ჩაუდენიათ მოხელეებს და მხოლოდ ეხლა სენატის რევიზიის მეოხებით ოფიციალური წრეებიც დარწმუნებულან, რომ ყოველივე თავის რიგზე არა ყოფილა, როგორც ამას მოხელენი ირწმუნებოდნენ. ეს ერთ დარგში გამომჟღავნდა, სხვა უწყებები ხელ-უხლებელია. ალბად ყველაფერი „წესსა და რიგზეა“.

## წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა

(წერილი რედაქციის მიმართ)

სოფელში გახლდით, ამისათვის პასუხი ცოტათი დამიგვიანდა. „დროების“ მე-117 ნომერში ბ. ტ. მეც გამომწვდა. „ბ-მა ხუნდაძემ თავის აღმზრდელის სკოლის მმართველობას სხვაგან მოურაობა არჩიაო“. დაუმსახურებელი საყვედურია! დამეთანხმეთ, ბ-ნო ტ., რომ ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი გარემოება, როდესაც ადამიანს ასეთი დანაშაულიც ეპატიება. ათი წელიწადი ვიყავი სკოლის მასწავლებლად და მმართველად და მხოლოდ ამ ხნის შემდეგ გადმოვედი ტფილისის საბალოსნო სკოლის გამგედ. ძალიან ძნელი იყო ჩემთვის ამ სკოლის თავის დანებება, ამას დაამოწმებს ყველა მაშინდელი ჩემი მოსწავლე და ამხანაგ-მასწავლებელი.

სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს შემდეგ სკოლის საქმე უფრო კარგად წავიდოდა, ეს ასეც უნდა იყოს: ყოველი ახალი მუშაკი მოვალეა საზოგადო სასარგებლო საქმე გააფართოოს, წინ წასწიოს.

მეც და ჩემს ამხანაგებსაც იმ ათი წლის განმავლობაში ერთი მიზანი გვქონდა: მთელი ჩვენი ძალ-ღონე, დრო და ცოდნა მოგვეხმარებინა სკოლის წარმატებისათვის და, როგორც ერთი ადამიანი, შეერთებულის ძალით და სურვილით ვშრომობდით. არც ერთი საკითხი, არც ერთი საქმე, უერთიერთმანეთოდ არ გადაგვიწყვეტია და გაგვიკეთებია და სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ რის გაკეთებაც შევძელით, იმას მაინცა და მაინც კილოს ვერავინ დასდებდა. იმ ხანებში ბ-ნი მ. რ. ზაალიშვილი, რომელსაც მეურნეობის უცოდინარობას ვერავინ დასწამებს სწერდა წინამძღვარიანთ-კარის სკოლაზე („ცნობის ფურცელში“), მის ბალ-ბოსტანზე: „მტერიც საძრახისს ვერას უპოვნისო“.

ბევრი ქართველი მოღვაწე ყოფილა ჩვენს დროს სკოლაში, დათვალიერების შემდეგ დიდი სიხარული გამოუთქვამთ ჩვენთვისაც და ტფილისში კიდევ სკოლის მოჭირნახულე ილია წინამძღვარიშვილისათვის. ბ-მა ანტონ ფურცელაძემ სკოლის გულდასმით დათვალიერების შემდეგ ულრმესის აღტაცებით მითხრა: „როცა ყველა ამას ჰხედავ, ადამიანს იმედი გებადებაო“.

სამოსწავლო უწყების რევიზორებიც განცვიფრებულნი იყვნენ მოსწავლეების საგნების ცოდნით. ერთხელ ტფილისის გუბერნიის სკოლების დირექტორი შულგინი მოულოდნელად გვეწვია. ცხენიდან რომ გადმომხდარიყო, სკოლის კარის ბჭეში შესულიყო, სწავლის ხმა გაეგონა და რომელიც მოჰხვდა იმ კლასში შევიდა. სწორედ ამ დროს პირველ კლასში რუსულ ენის გაკვეთილი იყო,—პუშკინის „წინასწარმეტყველს“ სწავლობდნენ. მასწავლებელს გაეცნო და თითონ დაუწყო კითხვა მოსწავლეებს. გაკვეთილი რომ გათავდა, მკითხა: „მე ახლა რომელ კლასში ვიყავიო“, პირველ სპეციალურ კლასში-მეთქი, მივუგე. „გაკვირვებული ვარ მოსწავლეების ცოდნით, მე მეოთხე კლასი მეგონაო“.

თითქმის წინამძღვარიანთ-კარში გავიზარდე და არ მახსოვს გლეხკაცს სკოლა უმადურად მოეხსენებინოს. პირიქით, მათ სკოლა ძალიანაც უყვართ, რაც სკოლისთვის უსასყიდლოდ ძველაში არა ერთხელ გამოუხატავთ.

სკოლაში ასამდე მოსწავლე დავტოვე, მოშეტებული ადგილობრივ გლეხების შვილები იყვნენ.

ვინ ამბობს, სკოლას ნაკლულოვანება არ აქვსო. თუ გნებავთ, იმასაც მოგახსენებთ, რომ ჩვენ შევიმუშავეთ კიდეც სკოლის გაუმჯობესობის პროექტი, ტფილისიაც გვქონდა კრება, დავისწარით გამოცდილი პირები. ამ პროექტზე ბ-ნმა ილიამ სრული თანხმობა გამოგვიცხადა პედაგოგიურ საბჭოს, საქმესაც შევუდექით, მაგრამ უსახსრობამ გვიღალატა.

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა ისეთი სასარგებლო დაწესებულებაა, რომ ყველა ქართველს უნდა აინტერესებდეს მისი ავი და კარგი. მიუდგომელი კრიტიკა ყველა საქმეს არგებს, უმადურად ხსენება კი უსამართლობაა.

კარგად ვიცი, ბევრს ახალგაზდა, საუკეთესო პედაგოგს სასიქადულოდ მიაჩნდა ამ სკოლაში მოღვაწეობა და სამსახური, აკი იმიტომაც არის, რომ არა ერთი და ორი ცნობილი პედაგოგი მასწავლებლობდა აქ.

ეხლა, სკოლის დღევანდელი მასწავლებლებიც გულმოდგინეთ ეკიდებიან სკოლის საქმეს, და უსამართლოდ მიმაჩნია ბ-ნთ ტ. და ლ. მაზრელის აზრი, სადაც ისინი სკოლის 25 წლის მოღვაწეობას არად აგდებენ.

ვნახოთ, ამ ავტორების სამსახურს და წერილებს სკოლისათვის რა შედეგი მოჰყვება!

ნ. კალანდაძემ მათ შესაფერი პასუხი გასცა და მე გრძელი წერილით მკითხველს აღარ შევაწუხებ.

**ხვიმონ ხუნდაძე.**


# განცხადებანი

## დღისით თავისუფალია

შესანიშნავი ჰუნგრელი ორკესტრი სიმღერით **მუშტაიდში,** შეიძლება ორკესტრის დაკვეთა სადილეზე (შეიძლება პირველ-ხარისხოვან რესტორანებშიაც), სეირნობებზე და სხვა. გორჯომის ქ. № 12.

(1—1092—1)

## მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან)

ფრჩხილებს გარედ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში ტფილისისა

**ტფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი N 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.). 2) საფოსტო N 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.). 3) სამგზავრო N 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.). 2) საფოსტო N 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.). 3) სამგზავრო N 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.). 2) სამგზავრო N 9/10, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო N 74/75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 წ. 44 წ.),

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. N 78/79, ნაშუადღევ. 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა-უქმეებში—1) საგარაკო N 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.). 2) საგარაკო N 77 a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი N 2, დილის 8 ს. 38 წ. (9 ს. 36 წ.), 2) საფოსტო N 4, საღამ. 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.). 3) სამგზავრო N 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო N 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.). 2) საფოსტო N 3, დილის 7 ს. 8 წ. (8 ს. 6 წ.). 3) სამგზავრო N 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო N 7/8, დილის 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.). 2) სამგზავრო N 9/10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო N 72/73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის—საგარაკო N 76 a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.). საგარაკო N 76, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.).

---

უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად და გაახყიდად დაურიგეს წიგნის მაღაზიებს

**ვასილ ყიფიანის**

ორიგინალური ისტორიული დრამა-ოპერა

მოქმედებად

## სამეგრელოს მთავარი ლ ე ვ ა ნ

**ფასი 40 კაპ.**

ტფილისს გარედ მცხოვრებთ, ვინც გაზეთ „დროების“ კანტორიდან დაიბარებს წიგნს, გასაგზავნი ფული არ გადახდებათ.

---

## ■✦■ სურამში ■✦■

იუნკრის შკოლის საზაფხულო ლაგერის პირდაპირ ისყიდება საუკეთესო სააგარაკო ადგილები. დატოვებულია სასეირნოთ მშვენიერი **ფიჭვის და მუხის პარკი**. ჰავა და ბუნება საუკეთესო. ფასები ხელმისაწდომი: **ორი აბაზიდგან ოთხკუთხი საჟენი** შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდა.

ადრესი: სურამში, როსტომ დ. ჩიკვაიძეს. (10—271—9)

---

გამოვიდა და იყიდება **წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში** ახალი წიგნი:

## საქართველოს სიძველენი

**ტომი მეორე**

## პალეოგრაფიულის ალბომით

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემული, ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით.**

◀ **ფასი 3 მან. 50 კაპ.** ▶

ეს წიგნი **უფასოდ დაეთმობა** საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების იმ ნამდვილ წევრებს, რომელთაც შემოუტანიათ 1908 წლის საწევრო გადასახადი (3 მან.). ასეთს წევრებს, ტფილისში მცხოვრებთ შეუძლიანთ მიიღონ წიგნი **წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.** ხოლო ქალაქს გარეთ მცხოვრებთ წიგნი ფოსტით გაეგზავნება. (10—10)

---

## გაფრთხილება

## დ. ზ. სარაჯიშვილისა

კანტორა ტფილისში.

ЗАВОДСКАЯ МАРКА

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებით, და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ ბ-ნნი მომხმარებელნი.

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი“,** და საქარხნო მარკაზე **„ჯიხვი კლდეზე“** (20—234—11)

---

## ✖ პროვოდნიკის ✖

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Р. Ф. Т. ПРОВОДНИКЪ РИГА

1897 წ. 1888

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

1908 წ.

## ამხანაგობა

## რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნაღდად და ცალობით:** ●

**რეზინის საეკიპაჟო შინები,**

**პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“** (წითელი),

**პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,**

**მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.**

„პროვოდნიკი“-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.

## ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა